

ESRS E3

წყლისა და საზღვაო რესურსები

შინაარსი

მიზანი

ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

- ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

- o ESRS 2 IRO-1-თან - „წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა
- o E3-1 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკები
- o E3-2 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- o E3-3 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები
- o E3-4 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლის მოხმარება
- o E3-5 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

- ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

- o ESRS 2 IRO-1-თან - „წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა
- o E3-1 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკები
- o E3-2 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- o E3-3 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები
- o E3-4 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლის მოხმარება
- o E3-5 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია დეტალურად დაადგინოს ინფორმაციის *გამჟღავნების* ის *მოთხოვნები*, რომელიც *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებელს მისცემს საშუალებას ნათელი წარმოდგენა შეიქმნას:
 - ა) იმის შესახებ, თუ რა არსებით დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს საწარმო წყლისა და *საზღვაო რესურსებზე* არსებული ან პოტენციური *ზემოქმედების* თვალსაზრისით;
 - ბ) არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის ან შერბილების, წყლისა და საზღვაო რესურსების დაცვის (ასევე *წყლის მოხმარების* შემცირების თვალსაზრისით) და *რისკებსა* და *შესაძლებლობებზე* რეაგირების მიზნით საწარმოს მიერ განხორციელებულ ნებისმიერ *ქმედებაზე* და ასეთი ქმედებების შედეგზე;
 - გ) შეაქვს თუ არა საწარმოს წვლილი (როგორ და რა მასშტაბით) სუფთა ჰაერის, სუფთა წყლის, ჯანსაღი *ნიადაგისა* და *ბიომრავალფეროვნების*, ასევე *ლურჯი ეკონომიკისა* და მეთევზეობის სექტორების მდგრადობის მიმართულებით ევროპის მწვანე შეთანხმების (European Green Deal) მიზნების მიღწევაში, შემდეგის გათვალისწინებით: ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა¹ (ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა (EU Water Framework Directive)), ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/56/EC დირექტივა² (ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა (EU Marine Strategy Framework Directive)), ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/89/EU დირექტივა³ (ევროკავშირის საზღვაო სივრცითი დაგეგმარების ჩარჩო დირექტივა (EU Maritime Spatial Planning Directive)), მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals (SDG)) (კერძოდ, მე-6 „სუფთა წყალი და სანიტარია“ და მე-14 „სიცოცხლე წყლის ქვეშ“), ასევე გლობალური გარემოსდაცვითი საზღვრების დაცვის გათვალისწინებით (მაგ., *ბიოსფეროს მთლიანობა*, ოკეანის გამჟავიანება, *მტკნარი წყლის* გამოყენება და ბიოგეოქიმიური ნაკადების *პლანეტარული საზღვრები*);
 - დ) საწარმოს გეგმებსა და შესაძლებლობებზე მოახდინოს საკუთარი სტრატეგიისა და *ბიზნესმოდელის* ადაპტირება წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისების მიმართულებით, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელმისაწვდომი წყლის რესურსების დაცვის პრინციპს ეფუძნება; და ასევე, წყლის *ეკოსისტემების* დაცვის და *მტკნარი წყლისა* და ზღვის *ჰაბიტატის* აღდგენის მიმართულებით;
 - ე) წყლისა და *საზღვაო რესურსებზე* საწარმოს *ზემოქმედებიდან* და *დამოკიდებულებიდან* წარმოშობილი არსებითი *რისკებისა* და *შესაძლებლობების* ბუნებაზე, ტიპსა და მასშტაბზე და როგორ ახორციელებს საწარმო ამ პროცესების მართვას; და

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის 2000/60/EC დირექტივა - Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council establishing a framework for Community action in the field of water policy (Water Framework Directive) (OJ L 327, 22.12.2000, p. 1).

² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის 2008/56/EC დირექტივა - Directive 2008/56/EC of the European Parliament and of the Council establishing a framework for community action in the field of marine environmental policy (Marine Strategy Framework Directive) (OJ L 164, 25.6.2008, p. 19).

³ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის 2014/89/EU დირექტივა - Directive 2014/89/EU of the European Parliament and of the Council establishing a framework for maritime spatial planning (OJ L 257, 28.8.2014, p. 135).

- ვ) წყლისა და საზღვაო რესურსებზე საწარმოს **ზემოქმედებიდან** და **დამოკიდებულებიდან** წარმოშობილი არსებითი **რისკებისა** და **შესაძლებლობების ფინანსურ შედეგებზე** მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.
2. წინამდებარე სტანდარტი ადგენს წყლისა და **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებულ **გამჟღავნების მოთხოვნებს**. „წყალთან“ მიმართებით, ეს სტანდარტი **ზედაპირულ** და **მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებს** ეხება. იგი საწარმოს საქმიანობაში, პროდუქციასა და მომსახურებაში **წყლის მოხმარებასთან** დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს და ასევე **წყალაღებასთან** და **წყალჩაშვებასთან** დაკავშირებულ ინფორმაციას მოიცავს.
3. „**საზღვაო რესურსებთან**“ მიმართებით, ეს სტანდარტი საზღვაო რესურსების ამოღებისა და გამოყენების საკითხებს და მათთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობებს ეხება.

ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან

4. წყლისა და **საზღვაო რესურსების** თემა მჭიდროდ უკავშირდება სხვა ისეთ გარემოსდაცვით ქვეთემებს, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, **დაბინძურება**, **ბიომრავალფეროვნება** და ცირკულარული ეკონომიკა. წყლისა და საზღვაო რესურსების თვალსაზრისით შესაძლო არსებითი საკითხების ყოვლისმომცველი მიმოხილვის მიზნით, შესაბამისი **გამჟღავნების მოთხოვნები** მოცემულია სხვა გარემოსდაცვით სტანდარტებში, ესენია:
- ა) ESRS E1 - „**კლიმატის ცვლილება**“, რომელიც ეხება, კერძოდ, მწვავე და ქრონიკულ **ფიზიკურ რისკებს**, რომლებიც წარმოიქმნება კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ან გამწვავებული, წყალსა და ოკეანესთან დაკავშირებული საფრთხეებისგან. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული რისკები მოიცავს წყლის ტემპერატურის მატებას, ნალექების მოსვლის მოდელებისა და ტიპების (წვიმა, სეტყვა, თოვლი/ყინვა) ცვლილებას, ნალექების ან ჰიდროლოგიურ ცვალებადობას, ოკეანის გამჟავიანებას, მტკნარი წყლების გამლაშებას (ზღვის წყლის ინტრუზიას მტკნარ წყლებში), ზღვის დონის აწევას, გვალვას, წყალზე მაღალ მოთხოვნას, უხვ ნალექებს, წყალდიდობებს და მყინვარული ტბების ნაპირებიდან გადმოსვლას;
- ბ) ESRS E2 - „**დაბინძურება**“, რომელიც კერძოდ, წყალში დამბინძურებელი ნივთიერებების **ემისიებსა** და ჩაშვებებს ეხება, რომელიც მოიცავს ემისიებს ოკეანეებში, ასევე მიკროპლასტმასას გამოყენებასა და წარმოქმნას;
- გ) ESRS E4 - „**ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები**“, რომელიც კერძოდ, **მტკნარი წყლის ეკოსისტემების**, ოკეანეებისა და ზღვების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას ეხება და, ასევე, მათზე ზემოქმედებას მოიცავს;
- დ) ESRS E5 - „**რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა**“, რომელიც **ნარჩენების**, მათ შორის პლასტმასას, **მართვას**, **ჩამდინარე წყლებიდან** არაგანახლებადი რესურსების ამოღების პროცესებზე გადასვლას, პლასტმასას გამოყენების შემცირებას და ჩამდინარე წყლების **რეციკლირებას** ეხება.
5. წყლისა და **საზღვაო რესურსებზე** საწარმოს მიერ გამოწვეულმა ზემოქმედებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს როგორც ცალკეულ ადამიანებზე, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებზე. წყლისა და **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებით **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე** საწარმოს მიერ არსებითი უარყოფითი ზემოქმედების საკითხები წარმოდგენილია ESRS S3-ში - **ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები**.

6. ეს სტანდარტი წაკითხულ უნდა იქნეს ESRS 1 – „ზოგადი მოთხოვნები“ და ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“ სტანდარტებთან ერთად.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

7. ამ განყოფილების მოთხოვნები საწარმომ უნდა წაკითხოს ESRS 2-ის მე-4 თავის - „ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა“ - შესაბამისად დადგენილ გამჟღავნების მოთხოვნებთან ერთად და ანგარიშგებაში ამავე თავის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის გვერდით წარმოადგინოს.

ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

ESRS 2 IRO-1-თან - „წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა

8. საწარმომ უნდა აღწეროს არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის პროცესი, კერძოდ, მან უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საწარმომ გადაამოწმა თუ არა და როგორ, თავისი აქტივები და საქმიანობები, საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში** წყლისა და **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული არსებული და პოტენციური **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** გამოვლენის მიზნით და იმ შემთხვევაში, თუ ეს გააკეთა, სკრინინგისთვის/შეფასებისთვის რა მეთოდოლოგიები, დაშვებები და ინსტრუმენტები გამოიყენა;
 - ბ) გამართა თუ არა საწარმომ კონსულტაციები, კერძოდ კი ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და როგორ გააკეთა ეს⁴.

E3-1 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკები

9. საწარმომ უნდა აღწეროს წყლისა და საზღვაო რესურსების მიმართულებით საკუთარი არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები⁵.

⁴ წყარო: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქმიანობის სტანდარტი 6 (IFC Performance Standard 6), 2012 წელი.

⁵ ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #7 ინდიკატორით („ინვესტიციები ისეთ კომპანიებში, რომელთაც არ აქვთ წყლის მართვის პოლიტიკები“ - “Investments in companies without water management policies”).

10. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს საწარმოს ისეთი პოლიტიკები, რომელიც ეხება წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენას, შეფასებას, მართვას ან/და რემედიაციას.*
11. მე-9 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ პოლიტიკების შესახებ, რომელიც საწარმოს (ESRS 2 MDR-P-ის – „მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები“ - შესაბამისად) აქვს წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად.
12. საწარმომ უნდა აჩვენოს, ეხება თუ არა და როგორ, მისი პოლიტიკები შემდეგ საკითხებს, როდესაც ისინი არსებითია:
- ა) წყლის მართვას, მათ შორის:
 - i. საკუთარ ოპერაციებში წყლისა და საზღვაო რესურსების გამოყენებას და შესაბამისი წყაროებიდან მიღების/მიწოდების უზრუნველყოფას;
 - ii. წყლის გაწმენდას, როგორც წინ გადადგმულ ნაბიჯს წყლის რესურსების შესაბამისი წყაროებიდან მიღების/მიწოდების უზრუნველყოფის უფრო მდგრად პრაქტიკას; და
 - iii. საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წყლის დაბინძურების პრევენციასა და შემცირებას.
 - ბ) პროდუქციისა და მომსახურების იმგვარად შემუშავებას, რომელიც ორიენტირებულია წყლის რესურსებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტასა და საზღვაო რესურსების შენარჩუნებაზე; და
 - გ) საწარმოს საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში, წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე წყლის არსებითი მოხმარების შემცირების ვალდებულებას.
13. თუ საწარმოს საქმიანობის განხორციელების ერთი ადგილი მაინც მდებარეობს წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიაზე და იგი პოლიტიკით არ არის გათვალისწინებული, საწარმომ უნდა დააფიქსიროს ეს ფაქტი და დაასახელოს ასეთი პოლიტიკის არქონის მიზეზები. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია დროის იმ პერიოდის შესახებ, როდესაც იგი აპირებს ასეთი პოლიტიკის შემოღებას⁶.
14. საწარმომ უნდა დააკონკრეტოს, აქვს თუ არა მას შემოღებული ოკეანეებისა და ზღვების მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკები და პრაქტიკა⁷.

⁶ ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #8 ინდიკატორით („კავშირი წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიებთან“ - “Exposure to areas of high water stress”).

⁷ ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში

E3-2 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

15. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებით მისი ქმედებებისა და მათ განსახორციელებლად განაწილებული რესურსების შესახებ.
16. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას წყლისა და **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული **პოლიტიკის** მიზნებისა და **სამიზნე მაჩვენებლების** მისაღწევად საწარმოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ძირითადი **ქმედებების** შესახებ.
17. **ქმედებებისა** და რესურსების აღწერა უნდა მოხდეს ESRS 2 MDR-A-ით - „*მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები*“ - განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.
18. ESRS 2 MDR-A-ით დადგენილი ინფორმაციის გარდა, საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს ქვემოთ მოცემულ შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიაში რომელ ღონეზე შეიძლება განაწილდეს მისი ქმედებები და რესურსები:
 - ა) წყლისა და **საზღვაო რესურსების** გამოყენებისგან თავის არიდება;
 - ბ) წყლისა და საზღვაო რესურსების გამოყენების შემცირება, მაგალითად, ეფექტიანობის ზომების მიღების გზით;
 - გ) ჩამდინარე წყლის რეციკლირება და ხელახლა გამოყენება; ან
 - დ) წყლის ეკოსისტემებისა და წყლის ობიექტების აღდგენა და **რეგენერაცია**.
19. საწარმომ დეტალურად უნდა განსაზღვროს **წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებთან**, მათ შორის **წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიებთან**, კავშირში მყოფი **ქმედებები** და რესურსები.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

E3-3 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები

20. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებით მის მიერ დაწესებული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ.
21. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ დაწესებული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ეხება წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკების განხორციელებას, ასევე წყლისა და საზღვაო რესურსებზე არსებით ზემოქმედებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე რეაგირებას.

მოცემული #12 ინდიკატორით („ინვესტიციები ისეთ კომპანიებში, რომელთაც არ აქვთ ოკეანეების/ზღვების მდგრადობის პრაქტიკა“ - “Investments in companies without sustainable oceans/seas practices”).

22. სამიზნე მაჩვენებლების აღწერა უნდა მოიცავდეს ESRS 2 MDR-T-ის - „პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით“ - მოთხოვნებით განსაზღვრულ ინფორმაციას.
23. საწარმომ მე-20 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციაში უნდა მიუთითოს მიემართება თუ არა და როგორ, მისი **სამიზნე მაჩვენებლები**:
- ა) **წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებთან** დაკავშირებული არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** მართვას, მათ შორის წყლის ხარისხის გაუმჯობესებას;
 - ბ) **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების პასუხისმგებლობით მართვას, მათ შორის საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული იმ პროდუქტების (როგორებიცაა, ქვიშა-ხრეში (შემვსები მასალები), ღრმა წყლის მინერალები, ზღვის პროდუქტები) ტიპსა და რაოდენობას, რომელსაც საწარმო იყენებს; და
 - გ) **წყლის მოხმარების** შემცირებას, ასევე საწარმომ უნდა ახსნას თუ რა კავშირშია ეს სამიზნე მაჩვენებლები წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებთან, მათ შორის წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიებთან.
24. ESRS 2 MDR-T-ით დადგენილი ინფორმაციის გარდა, საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს **სამიზნე მაჩვენებლების** დაწესებისას იქნა თუ არა გათვალისწინებული **ეკოლოგიური ზღვრები** და საწარმოსთვის სპეციფიკური ვალდებულებებისა და რესურსების განაწილება. თუ ასეა, საწარმოს შეუძლია მიუთითოს:
- ა) იდენტიფიცირებული ეკოლოგიური ზღვრები და ასეთი ზღვრების იდენტიფიცირებისას გამოყენებული მეთოდოლოგია;
 - ბ) არის თუ არა ეს ზღვრები საწარმოსთვის სპეციფიკური და თუ ასეა, როგორ განისაზღვრა ისინი; და
 - გ) როგორ ნაწილდება საწარმოში პასუხისმგებლობა იდენტიფიცირებული ეკოლოგიური ზღვრების დაცვაზე.
25. საწარმომ, კონტექსტურ ინფორმაციაში, უნდა მიუთითოს მის მიერ დაწესებული და წარდგენილი **სამიზნე მაჩვენებლები** სავალდებულოა (კანონმდებლობის საფუძველზე) თუ ნებაყოფლობითი.

E3-4 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლის მოხმარება

26. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მის მიერ წყლის მოხმარების მაჩვენებლების შესახებ, რომელიც უკავშირდება საწარმოს არსებით ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს.
27. *გამჟღავნების* ამ მოთხოვნის მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოადგენა შეიქმნას საწარმოს მიერ წყლის მოხმარების შესახებ, ასევე მის მიერ დაწესებული **სამიზნე მაჩვენებლების** მიღწევის პროცესში განხორციელებული ნებისმიერი სახის პროგრესის თაობაზე.

28. 26-ე პუნქტში წარმოდგენილი გამჟღავნების მოთხოვნა უკავშირდება საწარმოს საკუთარ ოპერაციებს და იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მ³-ში გამოსახული ჯამური წყლის მოხმარება;
- ბ) მ³-ში გამოსახული ჯამური წყლის მოხმარება წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, მათ შორის წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიებზე;
- გ) მ³-ში გამოსახული რეციკლირებული და ხელახლა გამოყენებული წყალი ჯამურად;⁸
- დ) მ³-ში გამოსახული დაგროვებული წყალი ჯამურად, ასევე ცვლილებები დაგროვებული წყლის ოდენობაში; და
- ე) ნებისმიერი სახის კონტექსტური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია (ა)-დან (დ) ჩათვლით პუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციასთან მიმართებით, როგორებიცაა წყლის აუზებში წყლის ხარისხი და რაოდენობა, როგორ მოხდა მონაცემების შეგროვება, მაგალითად, გამოყენებული სტანდარტები, მეთოდოლოგია და დაშვებები, მათ შორის ამ ინფორმაციის გამოთვლა მოხდა, შეფასება, მოდელირება თუ პირდაპირი გაზომვების შედეგად იქნა მიღებული, ასევე გამოყენებული მიდგომა, მაგალითად, სექტორისთვის სპეციფიკური კოეფიციენტების გამოყენება.

29. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია წყლის მოხმარების ინტენსივობის შესახებ: საკუთარ ოპერაციებში წყლის ჯამური მოხმარების (გამოსახული მ³-ში) შეფარდება წმინდა ამონაგებთან (გამოსახული მილიონ ევროში)⁹.

E3-5 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

30. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ.

31. მოცემულ საანგარიშებში პერიოდში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მიმართ მიმდინარე ფინანსური შედეგების შესახებ, ESRS 2 SBM-3-ის 48(დ) პუნქტის შესაბამისად დადგენილი ინფორმაციის გარდა,

⁸ ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #6.2 ინდიკატორით ("წყლის გამოყენება და რეციკლირება", 2. ინვესტირებული საწარმოების მიერ რეციკლირებული და ხელახლა გამოყენებული წყლის საშუალო შეწონილი პროცენტული მაჩვენებელი - "Water usage and recycling", 2. Weighted average percentage of water recycled and reused by investee companies).

⁹ ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #6.1 ინდიკატორით ("წყლის გამოყენება და რეციკლირება", 1. ინვესტირებული საწარმოების მიერ მოხმარებული წყლის საშუალო რაოდენობის (კუბურ მეტრებში) შეფარდება ინვესტირებული საწარმოს ამონაგებთან (მილიონ ევროში) - "Water usage and recycling", 1. Average amount of water consumed by the investee companies (in cubic meters) per million EUR of revenue of investee companies).

საწარმომ დამატებით უნდა წარმოადგინოს 30-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაცია.

32. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას:

- ა) წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და დამოკიდებულებისგან წარმოშობილი არსებითი რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ და იმის თაობაზე, თუ როგორ ახდენენ (ან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მოახდენენ) ეს რისკები არსებით გავლენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- ბ) წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ.

33. გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ რაოდენობრივ ინფორმაციას (ფულადი ოდენობის სახით) წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ქმედებების განხილვამდე, ან როდესაც ამის გაკეთება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე - ხარისხობრივ ინფორმაციას. შესაძლებლობებიდან წარმოშობილი ფინანსური შედეგებისთვის რაოდენობრივი ინფორმაცია სავალდებულო არ არის, იმ შემთხვევაში თუ ეს ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებას გამოიწვევდა, რომელიც ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს ვერ დააკმაყოფილებს (იხილეთ ESRS 1-ის „ბ“ დანართი - „ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები“);
- ბ) გათვალისწინებული შედეგების და დაკავშირებული ზემოქმედებისა და დამოკიდებულების აღწერას და იმ დროის პერიოდებს, როდესაც მოსალოდნელია მათი მატერიალიზება; და
- გ) მოსალოდნელი ფინანსური შედეგების რაოდენობის დასადგენად გამოყენებულ კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებებს და ამ დაშვებების წყაროებსა და განუსაზღვრელობის დონეს.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

ეს დანართი ESRS E3-ის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს ამ სტანდარტით გათვალისწინებული გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებას და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

ESRS 2 IRO-1-თან - „წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა

გმ 1. გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული ქვეთემების *არსებითობის* შეფასების პროცესში, საწარმომ საკუთარ ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში უნდა შეაფასოს წყლისა და საზღვაო რესურსების საკითხის არსებითობა. მან უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ მოცემული ოთხფაზიანი ე.წ. LEAP მიდგომა (Locate, Evaluate, Assess, Prepare):

- ა) 1-ელი ფაზა: საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ *ღირებულებათა ჯაჭვში* ბუნებასთან ურთიერთმოქმედების ადგილმდებარეობის დადგენა;
- ბ) მე-2 ფაზა: *დამოკიდებულებისა* და *ზემოქმედების* შეფასება;
- გ) მე-3 ფაზა: არსებითი *რისკებისა* და *შესაძლებლობების* შეფასება; და
- დ) მე-4 ფაზა: არსებითობის შეფასების შედეგების მომზადება და წარდგენა.

გმ 2. ESRS E3-ში გათვალისწინებულ *არსებითობის* შეფასებას მოიცავს ოთხფაზიანი მიდგომის პირველი სამი ფაზა. მეოთხე ფაზა კი პროცესის შედეგებს ეხება.

გმ 3. *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების არსებითობის* შეფასების პროცესში საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ESRS 2 IRO-1-ისა - „*არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა*“ - და ESRS 2 IRO-2-ის - „*ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება*“ - დებულებები.

გმ 4. *არსებითობის* შეფასების პროცესში წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ქვეთემები მოიცავს შემდეგს:

- ა) წყლის რესურსებთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს *ზედაპირული და მიწისქვეშა (გრუნტის) წყლების* მოხმარებას, ასევე წყალალბას და *წყალჩაშვებას*; და
- ბ) *საზღვაო რესურსებთან* დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს ამ რესურსების ამოღებასა და გამოყენებას და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობებს.

გმ 5. 1-ელი ფაზაში, წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიების ადგილმდებარეობის დადგენისას, ასევე იმ ტერიტორიების ადგილმდებარეობების დადგენისას,

სადაც **საზღვაო რესურსებთან** ისეთი სახის ურთიერთქმედება ხდება, რომელმაც შესაძლოა საწარმოს საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დადმავალ ღირებულებათა ჯაჭვში არსებითი ზემოქმედება და **დამოკიდებულება** გამოიწვიოს, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს:

- ა) პირდაპირი აქტივების და ოპერაციების, ასევე აღმავალ და დადმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში** დაკავშირებული საქმიანობების ადგილმდებარეობები;
- ბ) **საქმიანობის განხორციელების** ის **ადგილები**, რომლებიც მდებარეობს **წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე**, მათ შორის წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიებზე; და
- გ) ის სექტორები ან ბიზნეს-ერთეულები, რომლებიც ამ პრიორიტეტულ ადგილმდებარეობებზე წყლისა და საზღვაო რესურსებთან ურთიერთქმედებენ.

გმ 6. საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს მდინარის აუზები, როგორც ადგილმდებარეობის შეფასების შესაბამისი დონე და მოახდინოს ამ მიდგომის კომბინირება არსებითი ზემოქმედებისა და რისკების მქონე საკუთარი და **მომწოდებლების** ობიექტების საოპერაციო რისკების შეფასების პროცესთან.

გმ 7. წყლის ობიექტების სტატუსის განსაზღვრისას საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს 2000/60/EC დირექტივის (წყლის ჩარჩო დირექტივა) დანართებსა და წყლის ჩარჩო დირექტივის დანერგვის სახელმძღვანელო დოკუმენტებში წარმოდგენილი კრიტერიუმებით. სახელმძღვანელო დოკუმენტების სია ხელმისაწვდომია ევროპის კომისიის გარემოს დაცვის (European Commission Environment) მთავარ გვერდზე.

გმ 8. მე-2 ფაზაში, გმ 5-ის შესაბამისად იდენტიფიცირებული თითოეული პრიორიტეტული ადგილმდებარეობისთვის საწარმოს ზემოქმედებისა და **დამოკიდებულების** შესაფასებლად, მას შეუძლია:

- ა) მოახდინოს იმ ბიზნესპროცესებისა და საქმიანობების იდენტიფიცირება, რომლებიც ბუნებრივ აქტივებსა და **ეკოსისტემურ მომსახურებაზე** ზემოქმედებასა და დამოკიდებულებას იწვევს;
- ბ) მოახდინოს საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში წყლისა და **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული ზემოქმედებისა და დამოკიდებულების იდენტიფიცირება; და
- გ) შეაფასოს წყლისა და საზღვაო რესურსებზე დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების სერიოზულობა და ალბათობა.

გმ 9. წყლისა და **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული **დამოკიდებულების** იდენტიფიცირებისთვის, საწარმოს შეუძლია გამოიყენოს საერთაშორისო კლასიფიკაციები, მაგალითად, ეკოსისტემური მომსახურებების საერთო საერთაშორისო კლასიფიკაცია (CICES).

გმ 10. **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული **დამოკიდებულების** იდენტიფიცირებისას, საწარმომ უნდა განსაზღვროს დამოკიდებულია თუ არა ის საზღვაო რესურსებთან დაკავშირებულ ძირითად პროდუქტებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, ქვიშა-ხრემისა და ზღვის პროდუქტებზე.

გმ 11. **საზღვაო რესურსები** განისაზღვრება ადამიანთა საზოგადოებების მიერ მათი გამოყენების მიხედვით და ისინი განხილულ უნდა იქნენ იმ ზეგავლენასთან კავშირში, რომელსაც ექვემდებარებიან. საზღვაო რესურსებზე ზეგავლენის ზოგიერთი ინდიკატორი აღწერილია სხვა

ESRS სტანდარტებში, კერძოდ, ესენია ESRS E2-ში მოცემული მიკროპლასტმასა და *ემისიები* წყალში და ESRS E5-ში მოცემული პლასტმასის *ნარჩენები*.

გმ 12. *საზღვაო რესურსებზე დამოკიდებულების* ზოგიერთი მაგალითი, რომელიც შეიძლება საწარმომ განიხილოს, არის:

- ა) საკუთარ ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში კომერციული მიზნებით გამოყენებულ თევზსა და მოლუსკზე დამოკიდებულება; და
- ბ) სათევზაო საქმიანობა, რომელიც მოიცავს ფსკერული ტრალით თევზჭერას, რომელმაც ასევე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზღვის ფსკერზე.

გმ 13. მე-3 ფაზაში, 1-ელი და მე-2 ფაზის შედეგებზე დაყრდნობით არსებითი *რისკებისა* და *შესაძლებლობების* შეფასებისას, საწარმოს შეუძლია:

- ა) საკუთარ ოპერაციებსა და *ღირებულებათა ჯაჭვში* მოახდინოს *გარდამავალი რისკებისა* და *შესაძლებლობების* იდენტიფიცირება, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
 - i. *პოლიტიკა* და სამართლებრივი საკითხები: მაგ., რეგულაციის ან პოლიტიკის შემოღება (მაგ., ისეთი ცვლილებები, როგორცაა წყლის დაცვის გაზრდა, წყლის ხარისხის გამკაცრებული რეგულაციები, წყალმომარაგების ნაკადების რეგულირება), წყლის ობიექტების ან *საზღვაო რესურსების* არაეფექტიანად მართვა, განსაკუთრებით საზღვრებს მიღმა (მაგ., ტრანსსასაზღვრო მმართველობა და თანამშრომლობა), რომელიც იწვევს წყლის ან ოკეანეების *დეგრადირებას*, სანქციები და სასამართლო დავებში მონაწილეობა (მაგ., ნებართვების ან ვალდებულებების არშესრულება; საფრთხის ქვეშ მყოფი საზღვაო სახეობების მიმართ დაუდევარი მოპყრობა ან მათი დახოცვა), საზღვაო ეკოსისტემებისა და დაკავშირებული მომსახურებების მიმართულებით ანგარიშგების გამკაცრებული ვალდებულებები;
 - ii. ტექნოლოგია: მაგ., პროდუქციის ან მომსახურების ჩანაცვლება წყლისა და საზღვაო რესურსებზე ნაკლები ზემოქმედების მქონე პროდუქციით ან მომსახურებით, უფრო ეფექტიან და სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლა (ე.ი. ოკეანეებსა და წყალზე ნაკლები ზემოქმედებით), მონიტორინგის ახალი ტექნოლოგიები (მაგ., სატელიტი), წყლის გაწმენდა, წყალდიდობისგან დაცვა;
 - iii. ბაზარი: მაგ., მიწოდების, მოთხოვნისა და დაფინანსების ალტერნატიულ გზებზე გადასვლა, წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების არასტაბილურობა და ზრდა;
 - iv. რეპუტაცია: წყლისა და საზღვაო რესურსებზე ორგანიზაციის მხრიდან ზემოქმედების შედეგად ფართო საზოგადოების, მომხმარებლების და საზოგადოებრივი ჯგუფების აღქმების შეცვლა; და
 - v. საწარმოს საკუთარი ოპერაციებისა და აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის საშუალებით *სისტემური რისკების* წარმოქმნაში წვლილის შეტანა, მათ შორის იმ რისკისა, რომ საზღვაო ეკოსისტემა ჩამოიშლება ან იმ რისკისა, რომ კრიტიკული მნიშვნელობის ბუნებრივი

სისტემები აღარ იფუნქციონირებს (მაგ., ფიზიკური რისკების შეჯამებით მიღწეულია გარდატეხის წერტილი).

- ბ) მოახდინოს ფიზიკური რისკების იდენტიფიცირება, მათ შორის, წყლის რაოდენობის (**წყლის დეფიციტი**, წყალზე მოთხოვნა), წყლის ხარისხის, ინფრასტრუქტურის გაფუჭების ან საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ზოგიერთი პროდუქტის (მაგ., თევზის ზოგიერთი ისეთი სახეობის ან სხვა წყალქვეშა ზღვის ცოცხალი ორგანიზმის გაიშვიათება, რომელსაც საწარმო პროდუქციის სახით ყიდის) ხელმიუწვდომლობის რისკებისა, რომლის შედეგადაც, მაგალითად, გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე შეუძლებელია ოპერაციების წარმართვა;
- გ) მოახდინოს შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
- i. რესურსების ეფექტიანობა: მომსახურებისა და პროცესების ისეთ უფრო ეფექტიან სახეებზე გადასვლა, რომლებიც ნაკლებ წყლისა და საზღვაო რესურსებს საჭიროებენ;
 - ii. ბაზრები: ისეთი პროდუქციისა და მომსახურების განვითარება, რომელიც ნაკლებ რესურსს მოითხოვს, ბიზნესსაქმიანობების დივერსიფიკაცია;
 - iii. დაფინანსება: მწვანე ფონდებზე, ობლიგაციებზე ან სესხებზე ხელმისაწვდომობა;
 - iv. მედეგობა: საზღვაო ან წყლის რესურსებისა და ბიზნესსაქმიანობების დივერსიფიკაცია (მაგ., **ეკოსისტემის აღდგენის** მიმართულებით ახალი ბიზნესერთეულის დაფუძნება), მწვანე ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, **ბუნების დამზოგავი გადაწყვეტილებები, რეციკლირებისა** და ცირკულარული მექანიზმების შემოღება, რომელიც შეამცირებს წყლისა და საზღვაო რესურსებზე **დამოკიდებულებას**; და
 - v. რეპუტაცია: ბუნებასთან დაკავშირებული რისკების მართვისადმი პროაქტიული დამოკიდებულებით **დაინტერესებული მხარეების ჩართულობის** დადებითი კუთხით წარმართვა (მაგ., რაც გამოიწვევს სასურველი პარტნიორის სტატუსის მიღებას).

გმ 14. არსებითი ზემოქმედების, **დამოკიდებულების**, რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებისას, საწარმოს შეუძლია პირველადი, მეორადი ან მოდელირებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები ან სხვა შესაბამისი მიდგომები გამოიყენოს, მათ შორის კომისიის რეკომენდაცია 2021/2279 ეკოლოგიური ნაკვალევის შეფასების მეთოდების გამოყენების შესახებ ორგანიზაციებისა და პროდუქციის ეკოლოგიური შედეგების სასიცოცხლო ციკლის შეფასებასა და მის შესახებ ინფორმირების პროცესში (Commission Recommendation 2021/2279 on the use of the Environmental Footprint methods to measure and communicate the life cycle environmental performance of products and organisations) (დანართი I - პროდუქციის ეკოლოგიური ნაკვალევი (Product Environmental Footprint), დანართი III - ორგანიზაციის ეკოლოგიური ნაკვალევი (Organisation Environmental Footprint)).

გმ 15. **არსებითობის** შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს:

- ა) იმ გეოგრაფიული ტერიტორიების ჩამონათვალი, სადაც წყლის რესურსები საწარმოს საკუთარი ოპერაციებისთვის და მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულის ჯაჭვისთვის არსებით საკითხს წარმოადგენს;
- ბ) საწარმოს მიერ გამოყენებული, **საზღვაო რესურსებთან** დაკავშირებული იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც არსებითია ზღვის წყლების კარგი ეკოლოგიური სტატუსის, ასევე საზღვაო რესურსების დაცვის თვალსაზრისით; და
- გ) იმ სექტორებისა და სეგმენტების ჩამონათვალი, რომლებიც წყლისა და საზღვაო რესურსებზე არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან ასოცირდებიან.

E3-1 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკები

გმ 16. საწარმოს შეუძლია *გამჟღავნების ამ მოთხოვნაში* აღწერილი *პოლიტიკები* ისეთ უფრო ფართო გარემოსდაცვით ან მდგრადობის პოლიტიკებთან ერთად წარმოადგინოს, რომლებიც სხვადასხვა ქვეთემას მოიცავენ.

გმ 17. მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს, მისი *პოლიტიკა*:

- ა) ახდენს თუ არა შემდგომი გაუარესების პრევენციას, ასევე იცავს და აუმჯობესებს თუ არა ის წყლის ობიექტებისა და წყლის *ეკოსისტემების* სტატუსს;
- ბ) უწყობს თუ არა ხელს წყლის მდგრად გამოყენებას, რომელიც ეფუძნება ხელმისაწვდომი წყლის რესურსების დაცვას გრძელვადიან პერსპექტივაში;
- გ) მიზნად ისახავს თუ არა წყლის გარემოს გაძლიერებულ დაცვასა და გაუმჯობესებას;
- დ) უწყობს თუ არა ხელს ზღვის წყლის კარგი ეკოლოგიურ სტატუსის ქონას; და
- ე) უწყობს თუ არა ხელს *წყალაღებისა* და *წყალჩაშვების* შემცირებას.

გმ 18. საწარმოს შეუძლია ასევე გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ *პოლიტიკების* შესახებ:

- ა) რომლებსაც ადამიანის ჯანმრთელობის, წყალმომარაგების, ბუნებრივი *ეკოსისტემების* და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით წვლილი შეაქვთ *ზედაპირული წყლის* ობიექტების კარგ ხარისხში ეკოლოგიური და ქიმიური თვალსაზრისით და მიწისქვეშა (გრუნტის) წყლის ობიექტების კარგ ქიმიურ ხარისხში და რაოდენობაში, ასევე რომლებიც ხელს უწყობენ ზღვის წყლების კარგი ეკოლოგიური სტატუსის ქონას და იმ რესურსების ბაზის დაცვას, რომელზეც საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობებია დამოკიდებული;
- ბ) რომლებსაც არსებითი *ზემოქმედება* და *რისკები* მინიმუმამდე დაჰყავთ და ისეთი შემარბილებელი ზომების გატარებას უზრუნველყოფენ, რომელთა მიზანია საკუთარ ოპერაციებში რესურსების ეფექტიანობის გაზრდა და პრიორიტეტული მომსახურებების ღირებულებისა და ფუნქციურობის შენარჩუნება; და

- გ) რომლებიც უზრუნველყოფენ **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე** ზემოქმედების თავიდან აცილებას.

E3-2 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

- გმ 19. მე-15 პუნქტის მოთხოვნით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განიხილოს ის **ქმედებები**, ან სამოქმედო გეგმები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ გამოვლენილ არსებით ზემოქმედებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე რეაგირების პროცესში. ამ საკითხთან დაკავშირებით წყლის მართვის ალიანსი (Alliance for Water Stewardship (AWS)) შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს იძლევა.
- გმ 20. იმის გათვალისწინებით, რომ წყალი და **საზღვაო რესურსები** საზიარო რესურსია, რომელიც შეიძლება კოლექტიურ **ქმედებებს**, ან სამოქმედო გეგმებს, საჭიროებდეს (სხვა **დაინტერესებულ მხარეებთან** ერთად), საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია ასეთი კონკრეტული კოლექტიური ქმედებების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სხვა მხარეების შესახებ (კონკურენტები, მომწოდებლები, საცალო მოვაჭრეები, კლიენტები, სხვა ბიზნესპარტნიორები, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფები და მმართველი ორგანოები, სამთავრობო უწყებები ...) და კონკრეტული ინფორმაცია პროექტის, მისი კონკრეტული წვლილის, მისი სპონსორებისა და სხვა მონაწილეების შესახებ.
- გმ 21. კაპიტალური დანახარჯების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმოს შეუძლია განიხილოს დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, წვიმის წყლის დრენაჟის რეაბილიტაციას, მილსადენებს ან იმ დანადგარებს, რომლებიც გამოიყენება ისეთი ახალი პროდუქციის საწარმოებლად, რომლებიც ნაკლებ წყალს მოიხმარს.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

E3-3 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები

- გმ 22. თუ საწარმო **სამიზნე მაჩვენებლების** დაწესებისას იყენებს **ეკოლოგიურ ზღვრებს**, მას შეუძლია გამოიყენოს მეცნიერებაზე დაფუძნებული სამიზნე მაჩვენებლების დადგენის ინიციატივა ბუნებისთვის (Science-Based Targets Initiative for Nature (SBTN)) შუალედური სახელმძღვანელო მითითებები, კერძოდ, 2020 წლის სექტემბერში გამოცემული საწყისი სახელმძღვანელო ბიზნესისთვის (Initial Guidance for Business). მას ასევე შეუძლია გამოიყენოს სხვა სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც ეფუძნება მეცნიერულად აღიარებულ მეთოდოლოგიებს და იძლევა მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული სამიზნე მაჩვენებლების დადგენის საშუალებას ეკოლოგიური ზღვრების იდენტიფიცირების და, საჭიროების შემთხვევაში, რესურსების საწარმოსთვის სპეციფიკური განაწილების საფუძველზე. ეკოლოგიური ზღვრები შეიძლება იყოს ადგილობრივი, ეროვნული ან/და გლობალური დონის.

- გმ 23. საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს **სამიზნე მაჩვენებლები**, რომლებიც უკავშირდება:

- ა) წყალაღების შემცირებას; და
- ბ) წყალჩაშვების შემცირებას.

გმ 24. თუ საწარმო წარმოადგენს წყალაღებასთან დაკავშირებულ სამიზნე მაჩვენებლებს, მას შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია წყალაღების შესახებ დაბინძურებული ნიადაგიდან და წყალშემცველი ფენებიდან, ასევე რემედიაციის მიზნებისთვის ამოღებული და დამუშავებული წყლის თაობაზე.

გმ 25. თუ საწარმო წარმოადგენს წყალჩაშვებასთან დაკავშირებულ სამიზნე მაჩვენებლებს, მას შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებში წყალჩაშვების შესახებ, როგორცაა წყალშემცველ ფენებში წყლების მარაგების შევსება, ასევე გამწოვი დრენაჟის ან ინფილტრაციული თხრილების საშუალებით მიწისქვეშა (გრუნტის) წყლების წყაროებში წყლის დაბრუნება / სადრენაჟე სისტემის მოწყობა.

გმ 26. სამიზნე მაჩვენებლები შეიძლება მოიცავდეს საწარმოს საკუთარ ოპერაციებს ან/და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს.

გმ 27. საწარმოს შეუძლია დეტალურად მიუთითოს არის თუ არა სამიზნე მაჩვენებელში ასახული ისეთი ხარვეზები, რომელიც უკავშირდება წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებით „მნიშვნელოვანი წვლილის“ კრიტერიუმებს, რომელიც თავის მხრივ დადგენილია (EU) 2020/852 რეგულაციის 12(2) მუხლის შესაბამისად მიღებული კომისიის დელეგირებული აქტებით. როდესაც საწარმო არ აკმაყოფილებს წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებით „არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანის“ კრიტერიუმებს (რომელიც დადგენილია (EU) 2020/852 რეგულაციის 10(3), 11(3), 13(2), 14(2) და 15(2) მუხლების შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტებით), საწარმოს შეუძლია დეტალურად მიუთითოს ასახულია თუ არა სამიზნე მაჩვენებელში „არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანის“ კრიტერიუმთან დაკავშირებული ხარვეზები.

E3-4 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლის მოხმარება

გმ 28. საწარმო შეიძლება ფუნქციონირებდეს წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ტერიტორიებზე.

28(ბ) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ ასეთი სახის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მხოლოდ იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებიც ESRS 2 IRO-1-ისა და ESRS 2 SBM-3-ის შესაბამისად არსებითად განისაზღვრა.

გმ 29. წყლის რესურსების მოხმარების მაჩვენებლების შესახებ 26-ე პუნქტის მოთხოვნით გათვალისწინებული კონტექსტური ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა ახსნას გამოყენებული გამოთვლის მეთოდოლოგიები, უფრო კონკრეტულად, შეფასების ის ნაწილი, რომელიც პირდაპირი გაზომვის, შერჩევის და ექსტრაპოლაციის, ან საუკეთესო შეფასების შედეგად არის მიღებული.

გმ 30. საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია, ინფორმაციის სხვა სახით ჩაშლის შესახებ (ე.ი. თითოეულ სექტორზე ან სეგმენტზე).

გმ 31. 29-ე პუნქტის მოთხოვნით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი ფარდობები ინტენსივობის შესახებ სხვა მნიშვნელების გამოყენებით.

გმ 32. საწარმოს შეუძლია ასევე წარმოადგინოს ინფორმაცია საკუთარი *წყალაღებისა და წყალჩაშების* შესახებ.

E3-5 გამჟღავნების მოთხოვნა - წყლისა და საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

გმ 33. საწარმოს შეუძლია რისკის ქვეშ მყოფი საკუთარი შესაბამისი პროდუქციის და მომსახურების შეფასება წარმოადგინოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ შემთხვევაში, მან უნდა ახსნას როგორ განსაზღვრა ისინი, როგორ მოახდინა მათი ფულადი ღირებულების შეფასება და რომელი კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებები გააკეთა მან.

გმ 34. 39(ა) პუნქტის შესაბამისად *მოსალოდნელი ფინანსური შედეგების* ფულადი ღირებულება რაოდენობრივად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ერთი თანხის ან დიაპაზონის სახით.